



მომზადებულია 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით



შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაზრის ზოგადი
მიმოხილვა

გვერდი 11 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 12 - ფინანსური
კოეფიციენტები



კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება სარესტორნო ინდუსტრიის მიმოხილვას, არსებული ტენდენციების გამოვლენას, პირველი, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის დაწესებულებების 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული რესტორნები ეკუთვნის პირველ, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიებს.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2019 წლის მონაცემებს, კვლევაში განხილული იქნება რესტორნები, რომელთა რაოდენობაც ჯამურად შეადგენს 42-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია რესტორნების მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი მათ რაოდენობაზე, ფინანსურ მარჯვენებლებზე, მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან.





კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს რესტორნებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 247 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 468 მილიონ ლარს. უნდა აღნიშნოს რომ კომპანიათა ნაწილი ასევე ფლობს სხვა ბიზნესებს განსაკუთრებით სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით რომელთ გამოყოფა ფინანსურ ანგარიშგებებში არ ხდება განცალკევებით.



მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში არსებულ რესტორნებს, გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 3%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 29%.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის და გადახდის უნარიანობის შესახებ.



კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა რესტორნების 2019 წლის საშუალო მონაცემები. მოცემული 42 რესტორნიდან 1 განეკუთვნება პირველ კატეგორიას, 5 მეორე კატეგორიას, 36 კი მესამეს.


ათასი, ლარი

საშუალო რეალიზაცია



ათასი, ლარი

საშუალო მთლიანი აქტივები



ათასი, ლარი

საშუალო მოგება/ზარალი დაბეგვრამდე






სარესტორნო ინდუსტრიის მიმოხილვა


საქართველოში რესტორნებისა და სარესტორნო ტიპის დაწესებულებების რაოდენობა 2019 წლის ჩათვლით სტაბილურად მზარდი იყო, ხოლო 2020 წელს საგრძნობლად შემცირდა განვითარების ტემპი, რაც არსებულმა პანდემიურმა სიტუაციამ განაპირობა. თუმცა, მოსალოდნელია, რომ კრიზისული სიტუაციის დაძლევის შემდგომ საქართველოში სარესტორნო ინდუსტრიამ კვლავ განაგრძოს ზრდა, ტურიზმის ძველ ნიშნულებთან დაბრუნების პარალელურად, რადგანაც ტურისტების მიერ ყველაზე ხშირად განხორციელებული აქტივობებიდან ლიდერობს ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნება, საქართველოს ტურიზმის ეროვნული

ადმინისტრაციის თანახმად, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2019 წელს შეადგინა 74.8% (5,408,635). ამ ყველაფრის გათვალისწინებით იზრდება ინდუსტრიის ბრუნვა წლიდან წლამდე, გამონაკლისია 2020 წელი. ეტაპობრივად, რესტორნები ახორციელებენ ცვლილებებს და ნერგავენ შესაბამის სტანდარტებს, რომელიც შეესაბამება როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში არსებულ მოთხოვნებს, **დატ**გს ხდის კიდევ უფრო მიმზიდველს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2019 წელს, რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობებით დაკავებული საწარმოების რაოდენობამ შეადგინა 4561 ერთეული, ხოლო 2020 წელს 376 ერთეულით შემცირდა, ქვემოთ მოცემულია ბოლო ხუთი მონაცემები:



რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობებით დაკავებული საწარმოების რაოდენობა:

ერთეული




წყარო: geostat.ge

მონაცემების თანახმად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რესტორნების რაოდენობა სტაბილურად მზარდია, გარდა 2020 წლისა, აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ 2021 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით რესტორნების რაოდენობა 4790 ერთეულამდე გაიზარდა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2019 წელს, საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში შეადგინა 43.3 მლნ. ლარი, ხოლო 2020 წელს 34.7 მლნ. ლარამდე შემცირდა, ქვემოთ მოცემულია ბოლო ხუთი წლის საქსტატის ოფიციალური მონაცემები:

მლნ. ლარი
საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 2016 წელს განხორციელდა მაქსიმალური ინვესტირება ფიქსირებულ აქტივებში და შეადგინა 46.3 მლნ. ლარი.


სარესტორნო ინდუსტრიის მიმოხილვა



საქართველოში საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების პროდუქციის გამოშვება, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემდეგია:

მილიონი ლარი

საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების პროდუქციის გამოშვება




წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2019 წლის ჩათვლით საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების პროდუქციის გამოშვება სტაბილურად მზარდია. რაც შეეხება რესტორნებში დასაქმებულთა რაოდენობას, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, შემდეგია:

კაცი

საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რესტორნებში დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო მინიმალური 2020 წელს.




სარესტორნო ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, შემდეგია:

მილიონი ლარი

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით




როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა სტაბილურად მზარდია, გარდა 2020 წლისა.

მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს და შეადგინა 2089.1 მილიონი ლარი, ხოლო 2020 წელს დაფიქსირდა 1232.4 მილიონი ლარი, რაც 41%-ით დაბალი მაჩვენებელია. მიმდინარე სტატისტიკის თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საწარმოების ბრუნვის მოცულობის ყველაზე დიდი წილი მოდის მცირე ზომის საწარმოებზე, 2019 წელს 914.5 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც ამავე წელს საშუალო ზომის საწარმოების ბრუნვის მოცულობა დაფიქსირდა 575.2 მილიონი ლარი, ხოლო მსხვილი ზომის საწარმოების შემთხვევაში 599.3 მილიონი ლარი.

აქედან, საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემდეგია:

მილიონი ლარი

საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა




როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2019 წლის ჩათვლით საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა სტაბილურად მზარდია.



სარესტორნო ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დაქირავებულთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა 2020 წელს და შეადგინა 18,210 ადამიანი, რაც 2019 წლის მონაცემთან შედარებით 27%-ით დაბალია, რაც შეეხება ბოლო ხუთი წლის მონაცემებს, ასე გამოიყურება:

საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დაქირავებულთა რაოდენობა




წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რესტორნებში დაქირავებულთა მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო მინიმალური 2020 წელს. რაც შეეხება განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურებას, შემდეგია:

ლარი

საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება მზარდია, გარდა 2020 წლისა.




ბაზრის ძირითადი მოთამაშეები (2019 წ)

ათასი, ლარი


ტოპ 5 კომპანია შემოსავლების მიხედვით (2019)

აღნიშნული
კომპანიების ჯამური
შემოსავალი
ნარმოადგენს
დანარჩენი
რესტორნების
შემოსავლის 60%-ს.




ათასი, ლარი

ტოპ 5 რესტორანი მთლიანი აქტივების მიხედვით, (2019წ)



ათასი, ლარი

მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 რესტორანი (2019წ)






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2019 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები


კვლევის შედეგად გამოვლინდა რესტორნების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა

2,1 და 1.06, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

საქართველოში მოქმედი რესტორნების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 3%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 29%-ს,






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2019წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. რესტორნებისთვის ეს მაჩვენებელი უტოლდება 1,51-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 1,7 -ს, რაც მიუთითებს თუ რამდენად აღემატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.


გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი რესტორნებისთვის, 2019



ეფექტურობის კოეფიციენტები

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი რესტორნების შემთხვევაში უტოლდება მხოლოდ 0,65-ს, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში.

ეფექტურობის კოეფიციენტები რესტორნებისთვის, 2019





რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 40-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 85-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

